



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა  
ფასების ინდექსი საქართველოში

**2019**  
ნოემბერი



20.12.2019

[www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.12.2019

### სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში 2019 წლის ნოემბერი

2019 წლის ნოემბერში სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 0.6 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 8.5 პროცენტით.

წინა თვესთან შედარებით ფასების 0.5 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა **დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის** ჯგუფზე, რაც ინდექსის პროცენტული ცვლილების საერთო მაჩვენებელში 0.44 პროცენტული პუნქტით აისახა. ჯგუფში შემავალი პროდუქტებიდან აღსანიშნავია ფასების ზრდა კვების პროდუქტებზე, სასმელებსა და თამბაქოს ნაწარმზე (1.6 პროცენტი). ამასთან, ძირითად ლითონებსა და ლითონის მზა ნაწარმზე დაფიქსირდა ფასების კლება (-2.7 პროცენტი).

**ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და ცხელი წყლის** ჯგუფზე ფასები გაიზარდა 1.6 პროცენტით, რამაც მთლიან ინდექსზე 0.18 პროცენტული პუნქტით მოახდინა გავლენა.

**12 თვიან პერიოდში** ინდექსის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ პროდუქტებზე:

- **დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია:** ფასები გაიზარდა 8.7 პროცენტით, რამაც მთლიანი ინდექსის ზრდაზე 7.07 პროცენტული პუნქტით მოახდინა გავლენა. ფასები გაიზარდა კვების პროდუქტებზე, სასმელებსა და თამბაქოს ნაწარმზე (9.6 პროცენტი), ასევე ცელულოზაზე, ქაღალდსა და ქაღალდის ნაწარმზე (38.2 პროცენტი);
- **სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია:** დაფიქსირდა ფასების 16.3 პროცენტიანი ზრდა, რაც მთლიანი ინდექსის ცვლილებაზე 1.06 პროცენტული პუნქტით აისახა;
- **ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი:** ფასები გაიზარდა 3.1 პროცენტით, რამაც 0.38 პროცენტული პუნქტით იქონია გავლენა მთლიანი ინდექსის წლიურ ცვლილებაზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი (წინა თვესთან და წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით) და მის ფორმირებაში მონაწილე ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები.

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.12.2019

სამრეწველო პროდუქციის მზარმოებალთა ფასების ინდექსი საქართველოში  
2019 წლის ნოემბერი

| კოდი | ჯგუფები და ქვეჯგუფები                                                                             | 2019 წლის<br>თებომბერტან | წვლილი*<br>თვის ინდექსის<br>პროცენტულ<br>ცვლილებაში | 2018 წლის<br>ნოემბერტან | წვლილი*<br>წლიური ინდექსის<br>პროცენტულ<br>ცვლილებაში |
|------|---------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------|-----------------------------------------------------|-------------------------|-------------------------------------------------------|
|      | სულ                                                                                               | 100.6                    | 0.59                                                | 108.5                   | 8.51                                                  |
| C    | სამთომოპოვებითი მრეწველობისა და<br>კარიერების დამუშავების პროდუქცია                               | 99.6                     | -0.03                                               | 116.3                   | 1.06                                                  |
| CA   | ქვანახშირი და ლიგნიტი; ტორფი;<br>ნედლი ნავთობი და ბუნებრივი აირი;<br>ურანი და თორიუმი             | 101.3                    | 0.01                                                | 94.4                    | -0.03                                                 |
| CB   | ლითონის მადნები და<br>სამთომოპოვებითი მრეწველობისა<br>და კარიერების დამუშავების სხვა<br>პროდუქცია | 99.4                     | -0.04                                               | 118.1                   | 1.08                                                  |
| D    | დამამუშავებელი მრეწველობის<br>პროდუქცია                                                           | 100.5                    | 0.44                                                | 108.7                   | 7.07                                                  |
| DA   | კვების პროდუქტები, სასმელები და<br>თამბაქოს ნაწარმი                                               | 101.6                    | 0.58                                                | 109.6                   | 3.41                                                  |
| DB   | ტექსტილი და საფეიქრო ნაწარმი                                                                      | 100.6                    | 0.01                                                | 113.1                   | 0.28                                                  |
| DC   | ტყავი და ნაწარმი ტყავისაგან                                                                       | 100.0                    | 0.00                                                | 102.0                   | 0.00                                                  |
| DD   | მერქანი და მერქნის ნაწარმი                                                                        | 100.2                    | 0.00                                                | 110.8                   | 0.13                                                  |
| DE   | ცელულოზა, ქაღალდი და ქაღალდის<br>ნაწარმი; ინფორმაციის მატარებლები;<br>პოლიგრაფიული მომსახურება    | 99.9                     | 0.00                                                | 138.2                   | 1.30                                                  |
| DF   | კოქსი, ნავთობის გადამამუშავების<br>პროდუქტები და ბირთვული სათბობი                                 | 103.1                    | 0.02                                                | 101.2                   | -0.01                                                 |
| DG   | ქიმიური ნივთიერებები, ქიმიური<br>პროდუქტები და ქიმიური ბოჭკოები                                   | 100.7                    | 0.03                                                | 100.3                   | 0.03                                                  |
| DH   | რეზინისა და პლასტმასის ნაწარმი                                                                    | 101.3                    | 0.04                                                | 106.8                   | 0.21                                                  |
| DI   | სხვა არალითონის მინერალური<br>ნაწარმი                                                             | 100.6                    | 0.06                                                | 108.3                   | 0.86                                                  |
| DJ   | ძირითადი ლითონები და ლითონის<br>მზა ნაწარმი                                                       | 97.3                     | -0.45                                               | 103.4                   | 0.63                                                  |
| DK   | მანქანები და მოწყობილობები, სხვა<br>დაჯგუფებებში ჩაურთველი                                        | 95.7                     | -0.04                                               | 112.2                   | 0.10                                                  |
| DL   | ელექტრული და ოპტიკური<br>მოწყობილობები                                                            | 123.6                    | 0.18                                                | 111.1                   | 0.10                                                  |
| DN   | სხვა სამრეწველო საქონელი, სხვა<br>დაჯგუფებებში ჩაურთველი                                          | 100.3                    | 0.00                                                | 102.6                   | 0.04                                                  |
| E    | ელექტროენერგია, აირი, ორთქლი<br>და ცხელი წყალი                                                    | 101.6                    | 0.18                                                | 103.1                   | 0.38                                                  |


\*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.12.2019


### სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი

(წინა თვე = 100)



### სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი

(წინა წლის შესაბამისი თვე = 100)




## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.12.2019

### სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი

(12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან)



საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული

ტელ: (+995 32) 236 72 10 (400)

ელფოსტა: [gtetrauli@geostat.ge](mailto:gtetrauli@geostat.ge)